

"საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაგეგმილი გვაქვს პარტიის რეფორმირება"



მცხეთაში, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეგიონულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას პარლამენტის თავმჯდომარემ და პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობითა და მოქალაქეთა თანადგომის გახდა შესაძლებელი რეჟიმის შეცვლა და

დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება.

„ მაშინ, როდესაც ბატონმა ბიძინა ივანიშვიდმა გააკეთა განაცხადი პორტიკაში მოსვლის თაობაზე, ბევრს არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა მაშინდელი რეჟიმის შეცვლა და დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება, თუმცა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და თითოეტი თქვენგანის თანადგომით ეს მიზანი მიღწეულია და ეს ყველაფერი გახდა შესაძლებელი და ახლა თქვენი დამსახურებით ქვეყანა აგრძელებს წინსვლას ყველა მიმართულით. ჩვენ ვახერხებთ იმ მთავარი მიღწევის შენარჩუნებას, რომელიც გვაქვს 2012 წლიდან, ეს არის, რა თქმა უნდა, დემოკრატია, ეს არის თავისუფლება, ეს არის ადამიანის უფლებების განუხრედი დაცვა და ჩვენ არა მარტო ვინარჩუნებთ მიღწეულ შედეგს, არამედ, ვმუშაობთ იმაზე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს შედეგი“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, ის დარწმუნებულია რომ მმართველი პარტია დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებშიც. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პარტიის რეფორმირების მეორე ტაღლაა დაგეგმილი, რომელიც

„ქართულ ოცნებას“ საბოლოოდ ჩამოაყარბებს ევროპური ტიპის პოლიტიკურ გაერთიანებად.

„ჩვენ წინ გვედის ახლა ძარიან მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნები და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთად დგომით, ჩვენ ამ შემთხვევაშიც მოვიპოვებთ ასევე ძარიან დიდ წარმატებას და დიდი უპირატესობით გავიმარჯვებთ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაგვემირი გვაქვს პარტიის რეფორმირების მეორე ტარლის დაწყება, რის შედეგადაც „ქართული ოცნება“ საბოლოოდ უნდა ჩამოყარბდეს, როგორც ევროპური ტიპის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არა მარტო არჩევნების დროს აქტიურდება, არამედ უზრუნველყოფს არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდშიც პოლიტიკური პროცესების დაგვემვას და ამ პროცესების მართვას. კიდევ ერთხედ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატება და ასევე, პარტიის წარმატება არის თითოეული თქვენგანის დამსახურება და კიდევ ერთხედ, მინდა, მადრობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს ერთგულებისთვის. ერთად დგომის გარეშე ჩვენი წინსვრა იქნებოდა შეუძლებელი“, - მიმართა დამსწრეებს პარტიის აღმასრულებელი მდივანმა.